ოქმი:ო37. 3724331001
თარიღი:26/11/2024

ოქმი N 26

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 25
ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

17:00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ.არუშიძე, ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. ხომერიკი, დ.ჭაკნელიძე, მ.ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

*3.*საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მომოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ მატერიალური ფორმით წარმოდგენილი პეტიციის ,,მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის საკითხებზე რეკომენდაციების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ნანა სიხარულიძე

6.„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

ბიუროს წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი განსახილველად შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მეორე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მესამე საკითხი დაეწეროს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელების მიზნით.

მეოთხე საკითხი შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში .

პეტიცია განსახილველად დაეწეროს მუდმივმოქმედ კომისიებს: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო და საკრებულოს განათლების, კულტურის,სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიებს და შემდგომი რეაგირებისთვის პეტიცია მოქმედი წესის შესაბამისად გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მეექვსე საკითხი ცნობად მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი